მდინარე ლიახვის აუზის წყლის რესურსების შეფასება კლიმატის ცვლილების ფონზე

ზურაბ ხომასურიძე

ელ–ფოსტა: zurab.khomasuridze2014@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

ანოტაცია

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებულმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ და სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა მკვეთრად გააუმჯობესა მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საყოფაცხოვრებო პირობები. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ბიოლოგიასა და მედიცინაში რევოლუციური ხასიათის აღმოჩენებს, რამაც განაპირობა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და მოსახლეობის რაოდენობის მატება. კაცობრიობამ მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ათვისება დაიწყო, რამაც უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია მე-20 საუკუნეში.

ადამიანის სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში მრავალი მავნე ნივთიერება გამოიყოფა, ასევე დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ავტომობილების გამონაბოლქვი. სხვადასხვა გზით ატმოსფეროში მოხვედრილი აირები, როგორებიცაა ნახშირორჟანგი, მეთანი და ა.შ. ატმოსფეროს გარს ეკვრის და შემოსული მზის სხივების უკან კოსმოსში დაბრუნებას ხელს უშლის, რაც ქმნის ე. წ. „სათბურის ეფექტს“. ყოველივე ეს კი იწვევს დედამიწაზე კლიმატის ცვლილებას, რაც გამოიხატება კონკრეტულ რეგიონებში საშუალო ტემპერატურების მომატებით.

რასაკვირველია კლიმატის ცვლილება შეეხება საქართველოსაც. პროგნოზის მიხედვით დასავლეთ საქართველოში იგი გამოიწვევს ნალექების ზრდას, აღმოსავლეთ საქართველოში კი - კლებას. ტემპერატურა კი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოიმატებს.

ყველაზე მეტად კლიმატის ცვლილების ეფექტი შეიგრძნობა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებსა და მათ აუზებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მდ. ლიახვი, რომელიც ძალიან აქტიურად გამოიყენება სარწყავად და შესაბამისად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა ქართლის ვაკეზე განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგებისათვის.